"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №7 (284) 29 ივლისი, ორშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

## სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო



„რუსთავი 2-ის" ქონება მეპატრონეს დაუბრუნდა-

იქნებ „ნაცებიც" მან გაასამართლოს,

ვიდრე „ნაცები" ოცნებას გაასამართლებდნენ...

გიორგი გახარიამ საქართველო სამოქალაქო ომს გადაარჩინა, და იქნებ-რუსეთთანაც

მე-2-გვ

## სვეტიცხოვლობა- მეორე იერუსალიმი ქართული სულიერებისა



სრულიად საქართველომ მისი სულიერების ციტადელის - სვეტიცხოვლობის დღესასწაული აღნიშნა, იმ ტაძრისა სადაც, ასვენია ღვთის კვართი, - საქართველოს ცხელი გული, ამ გულის ფეთქვა, გმირთა ქვითინი აღვიძებს საქართველოს.

ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი და და დაიფარე განსაცდელისაგან

## 2020 წელს განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება იზრდება



მე-3 გვ

## სექტემბრიდან ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" დაბრუნდება



მე-3 გვ

## ხმა რეგიონიდან-ომარ ხუხუნი:




ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ანაკლიას ხელს არ უშლის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ქალბატონ ნათია თურნავას

წერილი ღია

მე-4 გვ

## მილოცვა ზაურ ღუტიძეს დაბადების დღესთან დაკავშირებით



მანქანათმშენებლობის დიდი ამაგდარი, დიდი ფოთელი

მე-7 გვ

დიდი იუბილე

## „ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!

გივი (გული) ღოღუა -70



მე-7 გვ

## ფოთში ახალი სატუმბი სადგური აშენდება



მე-3 გვ

## სტუმრად ბადრი ბასილაიასთან -ძირძველ ფოთელთან



საოჯახო მუზეუმი- სახელმწიფოს ცხოვრების თანაზიარი

მე-7 გვ

## რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი მეხუთედ ტარდება




მე-4 გვ

## ქალხეთა

(ჭეშმარიტი ისტორიის შეუცვლელი სახე)



კოლხეთით იწყება მსოფლიოს ისტორია

მე-4 გვ

## თარიღი

1958 წლის მე-5 საშუალო სკოლის კურს-დამთავრებულთა 61-ე შეხვედრა



მე-6 გვ

# სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო

## რუსთავი 2-ის ქონება მეპატრონეს დაუბრუნდა- იქნებ „ნაცებიც" მან გაასამართლოს, ვიდრე ,,ნაცები" ოცნებას გაასამართლებდნენ...

## გიორგი გახარიამ საქართველო სამოქალაქო ომს გადაარჩინა, და იქნებ-რუსეთთანაც



სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებები სერიოზული ფიქრის და განსჯის საგანი უნდა გახდეს, როგორც სამართლიანიბის აღდგენის ახალი ეპოქა.

დემოკრატია რომ პატრიოტი და განათლებული ხალხის საქმე ყოფილა, 30 წლის მერე მაინც უნდა მივმხვდარიყავით. ნუთუ, საკმარისი არაა ამ ხნის განმავლობაში დემოკრატიის მერხებთან ჯდომა, რატომ არ გამოგვაქვს დასკვნები საარჩევნო გაკვეთილებიდან და სანამდე უნდა ვიაროთ შეცდომებზე.

დემოკრატიის ნიღბით დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება მარაზმად იქცა და ის ვინც ძალადობრივი რეჟიმის გამო ციხეში უნდა იჯდეს - ახალ გადატრიალებებს გვიწყობს. იქ ამოყოფენ თავს სადაც არ ელი და პოულობენ პროვოკაციის საბაბს. გველივით სულ თუ არ ეფერე, დაგესლავს და სულ იმის შიშით უნდა იყო, როდის გაგიმეტებს. შინაური მტერი, რომ გარეულზე უარესია, ცნობილია. პატრიოტულ გრძნობებს ამოფარებულები ისევ ხელისუფლებისკენ ილტვიან პროვოკაციებით, რევოლუციებით, ვიდრე არ შეფასდება 1991-1993 წლების მოვლენები, ვარდების რევოლუცია და 2003-2012 წლების ძალადობრივი რეჟიმი, 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება - პარლამენტზე შტურმიც სულ დასწრებაზე იქბება. დღემდე ჭირს მტყუან-მართლის გარჩევა. დამანგრეველი კი ,,ნაცბანდის", მისი პარტიული ტელევიზიის, ,,რუსთავი 2"-ის პარპაშია, რასაც განაპირობებს ამ ხელისუფლების კოჰაბიტაცია, მერედა ვისთან? ვინც გაძარცვა ქვეყანა? საკუთარ ხალხს მოუწყო გენოციდი, 2008 წელს საბაბი მისცა რუსებს ბოლომდე მიეყვანა აფხაზეთ-ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ყველა სტრატეგიული ობიექტი ჩააბარა, ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით ქვეყანა რუსეთს მიაბა და ახლა აქეთ გვიკითხავს მორალს ეროვნულ ღირებულებებზე. ისინი კვლავაც ხალხის სოციალური მდგომარეობით სპეკულირებენ და ხელისუფლების შეცდომებს არიან ჩასაფრებულნი. მართლმადიდებელთა საპარლამენტაშორისო ანსამბლეის ჩატარება და რუსი დეპუტატის პარლამენტში მოწვევა შეცდომა იყო. ეს ფაქტი ორმაგად გამოიყენეს ,,ნაციონალებმა" და მისმა განაყოფმა ბოკერიას ხელმძღვანელობით. ერთი, რომ რუსები გაამწარეს, სანქციები მიაღებინეს საქართველოს წინააღმდე (ამათი მიზანი ხომ ქვეყნის დაქცევაა) და მეორე - ახალგაზრდები მტრულად განაწყვეს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და შეეცადნენ გულანთებულთ პროტესტი სახელმწიფო გადატრიალებაში გადაეზარდათ და დაიწყო შტურმი პარლკამენტის შენობაზე; 3 სთ-ს განმავლობაში უტევდნენ პოლიციელებს, ცემდნენ და იტაცებდნენ, არადა, ნორმალურ ქვეყანაში მათთან მიახლოებაც აკრძაკლულია. მიუხედავად ამისა, დიდი შეცდომა იყო ტყვიების გამოყენება, რაც, საერთოდ, უნდა აიკრძალოს და ყველა პოლიციელი, ვინც უფლებას გადაამეტა და ადამიანები დაასახიჩრა, უნდა გასამართლდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს შეცდომა სათავისოდ გამოიყენეს რეაქციულმა ძალებმა, რომელთაც ნაკლებად აღელვებთ დაზარალებული ადამიანების ბედი, ტელევიზიით დღედაღამ ატრიალებენ ამ ფაქტებს, რომ რუსის გამო თუ როგორ გაიმეტეს ქართველები, მშვიდობიანი მომიტინგეები, ხოლო ვერ ნახავთ ვერცერთ კადრს, როცა პოლიციელებს სცემენ. ცხადია, ისინი რუსების გინებისთვის ფულს იღებენ და ამერიკელებიც კარგახანი არ მოგვეშვებიან, გვასწავლიან როგორ ვიცხოვროთ, ვის ავაშენებინოთ დიდი პორტები და ვის არა, როგორ დავისვათ თავზე ლგდპს წარმომადგენლები და ა.შ.

რამდენად ძლიერად აქვთ ფესვები გადგმული ,,ნაციონალებს", აქედანაც ჩანს-სამშობლოს ღალატი- სამშობლოს სახელით, გადატრიალება - დემოკრატიის სახელით. მილიარდები წაიღო სააკაშვილმა, სხვებმაც დაინაწილეს ქვეყნის ქონება და ამ ძალის მორევა მხოლოდ ,,ოცნებას" არ შეუძლია. კიდევ ერთი უბედურება პარტიული ტელევიზიაა-რუსთავი2", რომლის ყოველი გადაცემა საბრალდებო დასკვნას გავს. მართალია, ისინი ააშკარავებენ ნაკლოვანებებს და კორუფციას, მაგრამ ეს მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით არ არის ნაკარნახევი. თუ ასეა დადებითი პროცესებიც ხომ უნდა დაინახო? მასთან, ყველაზე უარესი ის არის, რომ აქ გინების მარათონია გამართული. და ის კონკრეტულ პიროვნებას კი არა, მთელ ერს ეხება. და სახელმწიფოსაც აზიანებს იმდენად, რომ შესაძლოა ომის საბაბად იქცეს მტრული სახელმწიფოსათვის. გაბუნიას და მისნაირების ზრახვები გასაგებია, მაგრამ გაუგებარია ქვეყანაში კვლავ რატომ გვრჩება სივრცე რევოლუციებისა და გადატრიალებისათვის. მთავარი-სპეკულირების ფაქტორი ხალხის სოციალური სიდუხჭირეა, მაგრამ უფრო მთავარი ,,ოცნების" ლოიალობა და უნიათობაა-ხალხის დაკვეთა, პირადი ცხოვრების მოგვარება არ ყოფილა, მათ უნდა გაესამართლებინათ ძალადობრივი რეჟიმი, რომელიც პირიქით მიუბრუნდა და იქეთ ასამართლებს... ახალგაზრდებმა იციან, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ ვინ არიან ,,ნაცები", ,,რუსთავი 2", რომლებიც ვაჭრობენ თავისუფლებით და დემოკტრატიით, ყველაფერს იკადრებენ რათა, ისევ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ასეთი სპექტაკლებისათვის კიდევ ბევრი სცენარი აქვთ გამზადებული. მათი ტელევიზიაც ,,რუსთავი 2" ამერიკელი დალესის გეგმით მუშაობს: ,,თუ გინდა ქვეყანა დაიპყრო-გარყვენი ახალგაზრდობა". ისინი ებრძვიან მართლმადიდებლობას და ემსახურებიან ნეოფაშისტურ რეჟიმს, როცა ივანიშვილს დედაზე აგინებენ, გადაბრუნებული სიტყვის თქმას რატომ ვერ ბედავენ სააკაშვილზე ეს ვითომ გამბედავი ბიჭები? როცა ეს შერჩათ, მერე პუტინზე გადავიდნენ. ამას უნდა ხედავდნენ ახალგაზრდები. ,,ოცნება" შეცდომას შეცდომაზე უშვებს, მაგრამ ისეთი რა ავნეს ქვეყანას რაც ,,ნაცებმა" დამართეს და დღესაც აგრძელებენ ყოველივე ეროვნულის ამოძირკვას. მოვა დრო, ქართველობა რუსეთსაც დაუდგამს დიდგორს, რომელსაც ორი დიდი მეთაური ყავდა ქართველი: პეტრე პირველი და სტალინი, რომლის ღვაწლს აფასებენ მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები. მხოლოდ ბოკერია და მისთანები აგინებენ. ეს გენეტიკური უპირატესობა თავისას იტყვის. მაგრამ პარლამენტის შტურმით აღება, რომ იქ რუსებია მოკალათებული, ცუდი გეგმის ნაწილია. და საფრთხეს სწორედ მისი ავტორები წარმოადგენენ. 500000-მა კაცმა მოაწერა ხელი ,,ნაცების" ძალადობრივი რეჟიმის გასამართლებას, ამ პარტიის გაუქმებას. მაგრამ ხელისუფლება ისევ სდუმს. არადა, ერთი თვეა 500 კაცი არ ისვენებს გახარიას გადადგომის მოთხოვნით, ვინ არიან ესენი გადატრიალების ორგანიზატორი ,,ნაცები", სოროსელი ლგდპ, არასამთავრობოები, ხელმოცარული ვითომ პოლიტიკოსები- გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკანორ მელია, ძმები ბერძენიშვილები, დავით უსუფაშვილი, ადამიანები ვინც მიშასთან დადგებიან, ოღონდ პარლამენტში მოხვდნენ და პირადი საქმე აკეთონ.

გიორგი გახარიას გადაყენება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უარყოფას ნიშნავს. მშვიდობიან ადამიანებს ესროლეს? გაბედეთ ეს თეთრ სახლთან აიღეთ შტურმით ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოს პარლამენტი და სროლას მაშინ ნახავთ, ამ მიზეზე არ ლაპარაკობენ მამა აბრამის ბატკნები.

სახელმწიფო გადატრიალება არ შედგა. გიორგი გახარიამ შეძლო აქამდე არნახული შტურმის შეჩერება, მაგრამ შეცდომებიც იქნა დაშვებული. დაასახიჩრეს ადამიანები, რაც ისევ ნაციონალების ხელწერაა, გაიხსენეთ 7 ნოემბერი და 26 მაისი, ნაციონალები კი ყველა უწყებაში არიან პორტირებული და ვინ იცის კიდევ სად გაამჟღავნებენ სომეხი სააკაშვილის ვნებებს.

ძალზედ მნიშვნელოვანია ბოლო მოვლენები ევროპასთან მიმართებაში.სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ დაადასტურა სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის რეკეტი ტელევიზიის ქონებაზეც, რომლის გენ. დირექტორი გვარამიაც მათ უჭერდა მხარს. სამწუხაროდ, ვიოთომ ევროპელ პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს არც სტრასბურგის გადაწყვეტილების არ სჯერათ ან არ უნდათ დაიჯერონ. ამ არხის ჟურნალისტები ახალ გენდირექტორს და საერთოდ, მეპატრონეს თავიანთ პრეტენზიებს უყენებენ, რომ გააგრძელებენ სარედაქციო პოლიტიკას, მთავრობის გინებას ტერორს, შანტაჟს, პროვოკაციებს, რევოლუციური გადატრიალებისათვის და ა.შ. როგორც ,,ნაცების" პარტიული ტელევიზია, რომელიც 9 წელი ემსახურა ძალადობრივ რეჟიმს და ახლაც ემსახურება. სიმართლის თქმა, მთავრობის კრიტიკა მედიის უმთავრესი ამოცანაა, მაგრამ იმასაც გააჩნია ვინ და რატომ გაკრიტიკებს, ხომ არ დგას ამის უკან დიდი ფინანსური დაინტერესება. მოკლედ, ყოველმხრივ უტევენ ამ მართლაც განათლებულ და გაწონასწორებულ პიროვნებას პაატა სალიას. პირობებს კარნახობენ, ვერ გაიგებ მეპატრონე ხალვაშია თუ გვარამია? გაასაჯაროონ ამათი ხელფასები-არამგონია მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების ჟურნალისტებს ამათი ხელფასის ნახევარი ქონდეთ, ამბობენ გვარამიას წელიწადში მილიონობით შემოსავალი აქვსო, რომელი მესი ან რომელი როლანდო შენ ხარ, ნაღდ ჟურნალისტებს პურის ფული არააქვთ და ვიდრე ასე იქნება ვერც ეს ქვეყანა და ხალხიც ვერ გაიხარებს. იქნებ კიდევ არიან მაღალრეიტინგული და დიდი ჟურნალისტები, გამოდის არჩევანი არ ყოფილა საქართველოში და მხოლოდ ამათ შეუძლიათ მთავრობის გინება, ავტორიტეტის მოპოვების მთავარ პოსტულატად რომ იქცა. ასე, რომ ხალხმა განსაჯოს რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალია ეს კრიმინალ სააკაშვილზე და ,,ნაცებზე" დამოკიდებული ტელევიზია, რომელის დასაცავად წამოიშალნენ პარტიული ლიდერები და ცნობილი პიროვნებები, რათა არ დაკარგონ დეტონაციის მთავარი დეტონატორი! ტელევიზია კრიტიკულია! მაგრამ ის ემსახურებოდა ძალადობრივ რეჟიმს, ამიტომ უკან უნდა დარჩეს პროვოკაციები, დესტაბილიზაცია, ფსიქოზი და ა. შ, თუმცა, უნდა შენარჩუნდეს აქაური ნიჭიერი და პროფესიონალი ადამიანები, რომელთაც ნამდვილად აღელვებთ ქვეყნის ბედი და არ აყვებიან სააკაშვილის პროვოკაციებს. ამის გათვალისწინებით ,,რუსთავი2" მართლაც იქნება რეიტინგული ტელევიაზია, რომელიც ემსახურება ხალხს და არა კლანს, იქნება ობიექტური და სამართლიანი, როგორც მეოთხე ხელისუფლება, თავისუფალი სიტყვა, საქმიანი, კეთილმნოსურნე და არა ცინიკური, ღვარძლიანი - რამეთუ ეს არის ბინძური თავისუფალი სიტყვა და ეს უნდა დამთავრდეს ტელევიზიაში მიშას ეპოქასთან ერთად. სამწუხაროდ, ქვეყანა დაინგრა ვითომ დემოკრატიით, ვითომ მედიით და ამდენი ნიღაბ აფარებულებით, ყველგან და ყველა სფეროში. მთელ ამ კონტექსტში ასევე კარგად ჯდება ირაკლი ოქრუაშვილი, ერთდროს მიშას პატიმარი, 7 მილიონ დოლარად რომ უყიდია ,,რუსთავი 2" მინისტრობის დროს, რასაც ვერ გამოაჩენდა და თურმე ქიბარ ხალვაშის სახელზე გადაუფორმებია. წესით, ამისითვას პროკურატურაში უნდა იყოს დაბარებული, ისე რა გულკეთილია, სხვის ქონებას ჟურნალისტებს ჩუქნის, თუმცა, ამ ჟურნალისტებსავე შეკითხვაზე საიდან მოიტანე ამდენი ფულიო - ბებიათქვენმა გამომიგზავნაო. აი, სწორედ, ასეთი პიროვნებების და ასეთი ტელევიზიის ირგვლივ იკრიბება ცნობილი სახეები, პოლიტიკური მოღვაწეები, ექსპერტები, არცერთი სიტყვა სახელმწიფო გადატრიალებებზე, ახალგაზრდობის მასობრივ ჩახოცვაზე. ტელეიმედიდან ცემით გამოყრილ ჟურნალისტებზე. ნუთუ, მართლა ასე ბნელა? ჩემო გუბაზ, შალვა,ირაკლი, დავით, ნიკანორ? წინ არჩევნებია და კარგად გრძნობენ დასასრულის მოახლოებას და ამიტომ ყველაფერზე არინ წამსვლელები. არადა, ერთხელ ხომ უნდა დაწყნარდეს ქვეყანა? ამათ ქიშპობას შეეწირა ათასობით ადამიანის ცხოვრება კორუფციის, უმუშევრობის და სახელისუფლებო რეკეტის გამო. ეს უბედურება თითოეულ ოჯახს შეეხო, ბევრი დაინგრა, ბევრმა დატოვა ქვეყანა.

ძალადობრივი რეჟიმი, რადგან სხვა გზა არ დარჩა ისევ ძალადობით მოიწევს ხელისუფლებისაკენ, თუნდაც არეულობის ახალი ომის ფასად-იქნებ რამეს გამორჩნენ? აქედანაც ნათელია ვინ აკეთებს მიშას საქმეს. ამიტომაც ითხოვენ გახარიას გადადგომას, რომ არ მოუშვა ესენი ხელისუფლებაში და ქვეყანა გადაარჩინა სამოქალაქო ომს, სომეხი სააკაშვილის დაბრუნებას და ისევ მოსალოდნელ გართულებებს რუსეთთან. ქვეყანას ბანქოს მოთამაშეებივით უსხედან, იბრძვიან კარგი ულუფის ჩამოსაჭრელად. საკითხავია, რატომ არ არის აღქმული კანონდარღვევად და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად 20 ივლისის ღამე, მართლა ჩალითაა გადახურული ეს ქვეყანა?

ერს თავისი სიცოცხლის გზა აქვს, მას სათანადო სულიერი და მატერიალური პირობები სჭირდება, რათა გააგრძელოს განვითარება, ისედაც პატარა ერს ქვეყნიდან ვერეკებით და მომავალს ვუსპობთ, რატომ, რისთვის საკითხავი, აი, ეს არის!

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასამართლოს აღდგენის ახალი ეპოქა დაიწყო., იქნებ ნაცებიც მან გაასამართლოს. ამ მოთხოვნას ასიათასობით ადამიანი აწერს ხელს, ისიც საყურადღებოა, რომ ,,ნაცების" ბელადმა სააკაშვილმა საბოლაო კრახი განიცადა უკრაინის არჩევნებში.

როგორც ჩანს რუსთავი 2-ის ფინანსური მდგომარეობაც უკიდურესობამდე მიუყვანია მის ხელმძღვანელობას, და ისედაც დიდი საშიშროების წინაშე იდგა, მოკლედ ბევრი რამ გაირკვევა. ერთი კია ნაციონალები თავიანთი უღირსი საქციელით და სტრასბუგელთა დაუმსახურებელი გინებით თავიანთ თავს თვითონვე ასამართლებენ.

ახლა დადგა დრო გაიწმინდოს პოლიტიკური ველი. ხელისუფლებაში მოვიდნენ პატრიოტები. ევროპულად განათლებულები, ვინც არ გასვრილა ამ პოლიტიკურ მაქინაციებში. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ბევრი პარტია იქცა ვიგინდარების თავშესაფარად.

დღეს დიდი სიფრთხილეა საჭირო როცა ქვეყნის შიგნით ამდენი მტერი და აგენტურა გყავს. საქართველოს წიაღში უფრო რთული პროცესები მიდის. ორადაა ქვეყანა გაყოფილი ყველა პარამეტრით და ძნელი გამოსაცნობია რითაა ფეხმძიმე მრავალტანჯული საქართველო.

ზ. აბრალავა.

## სექტემბრიდან ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაბრუნდება



„სექტერმბრიდან ქართულ სკოლებში დაბრუნდება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართულ ღონისძიებაზე განაცხადა.

ბახტაძის თქმით, ახალი სასწავლო წლიდან ყველა პირველკლასელი უფასოდ მიიღებს „დედა ენას“.

„დღეს ჩვენც გვაქვს ეროვნული იდეა - ეს არის განათლება, საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე კანონი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ხელისფულება ვალდებული იქნება ბიუჯეტის მეოთხედი, ბიუჯეტის 25% მიმართოს განათლებაზე, მიმართოს ჩვენს ბავშვებსა და მომავლ თაობებზე. ეს არის ერთადერთი გარანტი იმისა, რომ საქართველო შედგება როგორც წარმატებული და ერთიანი ქვეყანა 21-ე საუკუნეში.

დღეს ამ უმშვენიერესი ადგილიდან, ვარიანიდან, მინდა მივაწოდო ქართულ საზოგადოებას ინფორმაცია, რომ სექტემბრიდან ქართულ სკოლებში დაბრუნდება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი და განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც შეძლო, რომ ჩვენ დაგვებრუნებინა ქართულ სკოლებში „დედა ენა“. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბავშვები, ისევე, როგორც მომავალი თაობები შემდეგი საუკუნეების განმავლობაში, ისევე შეიყვარებენ ქართულ „დედა ენას“, როგორც უყვარდათ წინა თაობებს და როგორც გვიყვარს ჩვენ“, - განაცხადა ბახტაძემ.

## 2020 წელს განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება იზრდება

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2020 წლისთვის ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს და პრიორიტეტულ მიმართულებებზე იმსჯელეს. სამუშაო შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი უძღვებოდნენ. შეხვედრას მაჟორიტარი დეპუტატები, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ. სამეგრელო-ზემო სვანეთისთვის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა მიმდინარე წელთან შედარებით 2020 წელს 14 მილიონი ლარით გაიზრდება. შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ ყურადღება გაა-



მახვილა პროექტების რაოდენობისა და დაფინანსების მზარდ ტენდენციაზე, ასევე სამუშაოების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთ ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კულტურის, სპორტის ობიექტების, ბაღების და სკოლების რეაბილიტაცია, ამბულატორიების და სასწრაფოების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სტიქიის პრევენცია და სოფლის მხარდაჭერა. შეხვედრის ფარგლებში, საუბარი შეეხო 2019 წლის პროექტების შესრულების გეგმას და მიმდინარეობას.

## სომხეთის საკონსულოში დაჯილდოების ცერემონია გაიმართა



1988 წელს სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ სპიტაკში მომხდარი ტრაგედია გაიხსენეს სომხეთის საკონსულოში, სადაც იმ ფოთელების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, ვინც აქტიური მხარდაჭერა გაუწია მეზობელ რესპუბლიკას მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრის საქმეში. დაჯილდოების ცერემონიას ქალაქ ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა დაესწრო. სომხეთის რესპუბლიკის კონსულმა იეღიშე სარგისიანმა, რესპუბლიკისსაგანგებო სიტუაციების სამინისტროს მადლობის სიგელები გადასცა პეტრე ბერაიას, თეიმურაზ წურწუმიას, ნუნუ ჭელიძეს, ბეჟან ჯალაღანიას. მადლობის სიგელით დაჯილდოვდა აწ განსვენებული გერონტი კუხალეიშვილი. საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დახმარების ხელი გაუწია სომხეთს ამ დიდი ტრაგედიის დროს. შეხვედრაზე ნახეს ფილმი, რომელიც სპიტაკის მასშტაბურ მიწისძვრას მიეძღვნა, გაიხსენეს ის მოვლენები და ატმოსფერო, რაც მთლიანად რეგიონში სუფევდა.

## ფოთში ახალი სანიჩბოსნო ბაზის პროექტირებაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ქალაქ ფოთში, ბესიკის ქუჩაზე, მდინარე კაპარჭის მიმდებარედ არსებული სანიჩბოსნო სკოლის ტერიტორიაზე, თანამედროვე ევროპული სტანდარტების სანიჩბოსნო ბაზა აშენდება, საცურაო აუზითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით არსებული ამორტიზირებული ნაგებობები კი დემონტაჟს დაექვემდებარება.

ახალი სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობა მნიშვნელოვანია, როგორც სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისა და არსებული ტრადიციების აღორძინების, ისე ქა-



ლაქის ეკონომიკური განვითარების კუთხით

## ფოთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ინოვაციურ კატალოგში შეიტანენ



ფოთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ინოვაციურ კატალოგში იქნება შეტანილი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული. პროექტი „მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა–შავი ზღვის აუზის განვითარების საფუძვლები“ ინოვაციური ტექნოლოგიების კატალოგის შექმნას, საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის ტექნიკური-ეკონომიკურ კვლევას, დაცულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს. პროექტის წარმომადგენლები ქალაქ ფოთის მერს გოჩა კურდღელიას შეხვდნენ და ქალაქის ხელმძღვანელ პირებს დასახული მიზნები და ამოცანები გააცნეს. ინოვაციურ კატალოგში ფოთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის შენობებიც მოხვდება, რომელსაც ენერგოეფექტურობისა და კლიმატისადმი მდგრადობის ინოვაციური ტექნოლოგიების საბაზრო კვლევა ჩაუტარდება.

## EIB-ის წარმომადგენლები ფოთის სპორტკომპლექსის მშენებლობას გაეცნენ

,,ევროპის საინვესტიციო ბანკის“ (EIB) წარმომადგენლებმა ფოთში მათ მიერ დაფინანსებული პროექტები დაათვალიერეს. ,,EIB“-ის ხელმძღვანელობა ფოთის სპორტკომპლექსის მშენებლობის პროცესს სამეგრელო - ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან ბატონ ალექსანდრე მოწერელიასთან, ქალაქის მერთან გოჩა კურდღელიასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე გრიგოლ კაციასთან და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან გიორგი შენგელიასთან ერთად გაეცნო. ფოთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს. მრავალფუნქციურ სპორტულ კომპლექსს დიდი (25X16) და მცირე (10X8) საცურაო აუზი ექნება, საცურაო სივრცეში განთავსდება 100 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. კომპლექსს ასევე ექნება სპორტული მოედანი, 160 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნებით, ცალკე განთავსდება ფიტნეს დარბაზი. სპორტულ კომპლექსში მოეწყობა საშხაპეები, ოთახები



მწვრთნელებისთვის, მსაჯებისთვის, პერსონალისთვის და ექიმისთვის. იქვე განთავსდება კაფე და საერთო საცხოვრებელი სპორტსმენებისთვის. ახალი კომპლექსი სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალებას მისცემს კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ და სპორტის მრავალ სახეობაში გამართონ ტურნირები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროექტის განხორციელება გასული წლის მარტში დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება, მისი ღირებულება 14,5 მილიონი ლარია. ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლებმა დღესვე ფოთის სტუმბი სადგური დაათვალიერეს, პროექტი ამავე ბანკის დაფინანსებით განხორცილდა.

## რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი მეხუთედ ტარდება




14-29 ივლისს რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი მეხუთედ ტარდება და მასში მონაწილეობს 17 რეგიონული პროფესიული სახელმწიფო თეატრი და თეატრალური დასები უკრაინიდან, ლიეტუვიდან, ირანიდან და სერბეთიდან.

იუბილეს ფარგლებში ფესტივალს მასპინძლობს საქართველოს 13 ქალაქი. ფესტივალი საზეიმოდ 14 ივლისს თბილისში სოხუმის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა, ხოლო ქალაქი ფოთი ფესტივალის ბოლო კვირას უმასპინძლებს.

ფესტივალი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის და ფოთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერითა და კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი „დღეს“ ორგანიზებით იმართება

## გრინვეის სერვის ცენტრმა ხელისუფლების წარმომადგენლებს უმასპინძლა

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა და პაატა ლაგვილავამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსმა ლევან წულაიამ სს „გრინვეი საქართველოს” ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი დაათვალიერეს, სამუშაო პროცესს გაეცნენ და საქართველოს ავტოინდუსტრიაში მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების მიმდინარეობა შეაფასეს. სს „გრინვეი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ებიტაშვილმა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს ზაფხულის კამპანიის ფარგლებში გამოცხადებული სტაჟირების პროგრამა გააცნო. სს „გრინვეი საქართველო“ მოსახლეობას 16 ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ორთვიან სტაჟირების პროგრამას სთავაზობს. პროგრამაში ჩართული სტაჟიორები ტექნიკური ინსპექტირების სერვის ცენტრებში გაივლიან ორთვიან უფასო სტაჟირებას. ინტენსიური გადამზადების ფარგლებში სტაჟიორები შეისწავლი-



ან ინსპექტირების ძირითად სტანდარტებსა და პრინციპებს. ასევე, მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ტექნიკური ინსპექტირების დარგში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ.

კომპანიამ დარგის განვითარებაში უკვე განახორციელა 53 მლ ინვესტიცია და შექმნა 370 სამუშაო ადგილი. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში კი სს „გრინვეი საქართველო” ფლობს ორ სერვის ცენტრს ქ. ფოთში და ქ. ხობში. რეგიონში განხორციელებულმა ინვესტიციამ შეადგინა დაახლოებით სამი მილიონი ლარი და შეიქმნა 11 ახალი სამუშაო ადგილი. სტაჟირების პროგრამის შესახებ დეტალური ინფორაცია შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ლინკზე: https://www.umartivesad.ge/ka/news/stajireba-grinveishi

# ქალხეთა

## (ჭეშმარიტი ისტორიის შეუცვლელი სახე)

### კოლხეთით იწყება მსოფლიოს ისტორია



ჩვენი ერის მრავალათასწლიანი ისტორიის მანძილზე განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა,(სხვადასხვა ეპოქებში) გაბატონებულთა მიერ, (წინასწარ განზრახვით) ხორციელდებოდა, (ჩვენი) წინარე, ისტორიის აშკარა გაყალბება, (რაც ავღნიშნე კიდეც ამავე გაზეთის წინა ნომერში). ასოთა ცვლილებით, ცვლიდნენ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს, გეოგრაფიული მდებარეობის ისტორიულ ტოპონიმებს და ასევე სხვა, მრავალ ისტორიულ მოვლენებს. ყოველივე ამას ან საკუთრად ჰრაცხავდნენ ან კიდევ, უარესი საერთოდ შლიდნენ ისტორიული წყაროებიდან, რაც მიზნად ისახავდა, (მითვისების ფონზე) საკუთარის წარმოჩენას, როგორც პირველადი წყაროსი. იბერიული ცივილიზაციის, (პირველადი კულტურის) მიჩქმალვის ხარჯზე, რაშიც, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ძვ. ბერძნებს, სპარსებს, რომაელებს, ბიზანტიელებს, თურქებს, ჩვენს მოძმე სომხებს და ასევე ჩვენს განსაკუთრებულ მეზობელს ,,ერთმორწმუნე" რუსეთს, რომლის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სრულიად დაუფარავად და ღიად განაცხადა: ,,საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს არსებულა. იგი შექმნა რუსეთმა, საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს შედიოდა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელიც ამ პატარა იმპერიის მიერ დაპყრობილ იქნა, ხოლო რუსეთის მიერ გათავისუფლებული. ასევე, არცთუ ისე დიდიხნის წინ მან ასევე განაცხადა: ,,უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა", ძნელია ყოველივე ამის შემდეგ უკანასკნელი მოჰიკანივით შემორჩენილ კომუნისტ ვალოდია პუტინისაგან მაღალ ზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიის მცირედ ნიშანწყალსაც ელოდოს კაცი. ეს მისთვის ისეთივე გაუგებარი და მიუღებელია, როგორც ენაი ლაზური ებრაელი რაბინებისათვის. პუტინმა ისტორიის არნახული, ,,უკიდეგანო ცოდნით" კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი სიძულვილი საქართველოსადმი. მისი დაუოკებელი სურვილია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრული ჩამოშლა და კრასნოდარის გუბერნიად გამოცხადება.

აქედან გამომდინარე, სხვა მრავალ დაპყრობილ სახელმწიფოთა სისხლზე შემდგარი უდიდესი იმპერიის პატარა კაცუნას მინდა შევახსენო, რომელსაც დღემდე არ შეშრობია თავისუფლებამოყვარე ხალხთა სისხლი ხელებზე. რომელსაც ჩემი სამშობლოს 20%-ი აქვს მიტაცებული, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი, ისეთივე საქართველოა, როგორც სხვა დანარჩენი კუთხეები. აფხაზეთი ოდითგან წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოს ისტორიულ მიწა წყალს, რომელსაც დასაბამი არ აქვს. რაც შეეხება თავად ტოპონიმს ,,აფხაზეთი" ძვ. მეგრული სახელწოდებაა,რომლის ძირი არის ,,ფხა" რაც ქართულად ნიშნავს დამცავს, დამცველს, რომლის ძირი მოსახლეობა იყო ძირითადად საზღვრის დამცველები. აქედან განზოგადდა მათზე აფხაზი, ანუ საზღვრის დამცველი, (კოლხური განშტოება). რაც შეეხება ე.წ.სამხრეთ ოსეთს, ის არასოდეს არსებულა ისტორიულად! აღნიშნული მხარე ისტორიულად შიდა ქართლის სახელწოდებით მოიხსენიება. ,,სამხრეთ ოსეთი". ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად შექმნილია, რაც შეეხება ოსებს, ისინი არ განეკუთვნებიან იბერიულ - კავკასიურ რასას და ითვლებიან შემოხიზნულ ტომად, როგორც აფსუები, რომლებსაც არავითარი გენეტიკური კავშირი არა აქვთ აფხაზთან. როგორც პუტინის რუსეთს ჭეშმარიტებასთან!. რუსეთი არის დამპყრობელი, რომელიც მონღოლივით მოვარდება, იპყრობს, ანგრევს, ანადგურებს, საამისოდ არაფერს აშენებს.

აქედან გამომდინარე მე არ ვიცი, ჩემი ხმა რამდენად მიწვდება პუტინს, (მაგრამ არც ესაა გამორიცხული) შევახსენებ რუსეთის ერთ-ერთი წმინდანის სერაფიმ საროველის სიტყვებს-რუსეთის იმპერიის ხელისუფალს: ,,ხელი აიღეთ ივერიაზე, თორემ ბუმერანგივით უაკნვე მოგიბრუნდებათ".

ვფიქრობ პუტინის რუსეთი, (როგორც მისი წინამორბედები) არ შეიგონებს წმინდანის ამ შეგონებას, ვინაიდან ეს არის ველური აზროვნებით და მტაცებლური ყიჟინით გამსჭვალული მონღოლთა ნაშთი, რომელიც ივერიაზე ბოლო გალაშქვრით დაასრულებს თავის არსებობას.პროცესი უკვე დაწყებულია...

მართალია, პუტინის რუსეთზე გამიგრძელდა საუბარი, მაგრამ ყოველივე ეს ძვირფასო მკითხველო, იმიტომ წარმოვაჩინე, რომ კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ თუ რა გზა გამოიარა ათასწლეულების მანძილზე იბერთა მოდგმამ, დღემდე! რა დროსაც შეგნებულად იჩქმალებოდა, ყალბდებოდა, ნადგურდებოდა, (როგორც დღეს) ჩვენი ერის წინარე ისტორია. მაგრამ ის რაც ღვთისაგან არს ვერავინ წაშლის, თუნდაც მთელი ტარტაროზები წამოიშალონ.

რატომ ქალხეთა, და არა კოლხეთი?! ქალხეთა ეს არის ისტორიული სახელწოდება დღევანდელი კოლხეთის, რომლის ტოპონიმი მომდინარეობს ძვ. მეგრულ-ლაზური ენიდან და იგი, ასე განიმარტება: ,,ქა"-ძვ. მეგრული სიტყვაა, რაც ქართულად ნიშნავს ,,რქას". მისი წარმოშობის ისტორია უკავშირდება წინასწარ მეტყველ ნებროთს, რომელმაც პირველმა იწინასწარმეტყველა, ,,ცის მეუფის ამ ქვეყნიდან მოვლინება" ნებროთს გამოეცხადა მთავარ ანგელოზი გაბრიელი, რომელმაც უთხრა, ,,ქა"-ს (რქის) ფორმის თავსაბურავი დაედგა თავზე. რაც ზეგარდმო გვირგვინს ნიშნავს, ასეთ გვირგვინს ატარებდნენ დანიელ წინასწარმეტყველი, (რომელიც ქალდეური (კოლხური) წარმოშობის იყო), მელქისედეკი, (მარადიული მეფე), მოსე, რომელიც სინას მთიდან დაბრუნებული რქის ფორმის თავსაბურავით მოევლინა თავის ხალხს. ლაზი მოგვები, რომლებიც აღმოსავლეთის მოგვებად გვევლინებიან ,,სახარებაში", თამარ მეფე, (ქურუმი) მცველი ღვთის ბიბლიოთეკისა. ,,ლ"- ნიშნავს დედა-ენა ლაზურს ,,ხე" ნიშნავს ზის, ბრძანდება, დაბრძანებულია, ,,თ" -ნიშნავს აქ! ე.ი. გვირგვინოსანი, დედაენა-ლაზური დაბრძანებული აქ კოლხეთში, რომელიც იოანე ზოსიმეს ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი" ძეგლის თანახმად დამარხულ არს ენაი ლაზური დღესამომდე (ბოლო ჟამი) მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად. (დასამოწმებლად), რომელმან ენამ უნდა ამხილოს დანარჩენი მსოფლიო ცოდვილი კაცობრიობა".

აია, პირველადი სახელწოდებაა კოლხეთის, რომელიც პირველად წყაროებში მოიხსენიება აია-ს ქვეყნად. მაგრამ მის წარმოშობაზე დუმს ძვ. ბერძნული წყაროები. (და არამარტო მისი წარმოშობის ისტორია ასეთია: ეს არის ქვეყანა, სადაც პირველად შეიქმნა ანბანი: ,,აი-ა" (რაც საწყისს ნიშნავს) რომლის შემქმნელები იყვნენ ლაზი მამები, წმინდა ქალხეთელი ბერები.

განსაკუთრებით საყურადღებოა, კოლხეთის მდინარეები, კოლხეთის მთავარ მდინარედ მოიხსენიება ,,ფაზისი". ისტორიული ,,ლაზისი", იგივე მდინარე რეანი და არა გაქართებული რიონი, რომელიც არაფერს გვეუბნება ,,რე" ნიშნავს მუდამ მყოფელს, მარადიულს ,,ანი", დამწერლობას ,,ანბანს" რაც დედა ღვთაება ანბანის - საპავტივცემულოდ ქალხეთელებმა აღნიშნულ მდინარეს დააქრქვეს. ეს არის ხანა აიას ჭეშმარიტი აღორძინების, რა დროსაც, წმინდა ლაზური ანბანის საპატივცემულოდ გარკვეულ გეოგრაფიულ მდებარეობებს არქმევდნენ წმინდა ანბანის სახელწოდებებს; რიონი-იგივე რეანი; ფაზისი -იგივე ლაზისი; ქალხეთა იგივე კოლხეთი; ხეთა; ანაპიტა-იგივე ანახეთა, ანი (ანბანი დაბრძანებულია აქ)

ალაზანი, რომელიც მოიხსენიება ქართლის მდინარედ, სინამდვილეში უკავშირდება ზანურს, რაზეც მიუთითებს თავად მდინარის სახელწოდება, რომელიც ასე განიმარტება ,,ალ" - ცეცხლი (არა მიწიერი, არამედ ღვთაებრივი) მანათობელი, ბრწყინვალე, ნათელი: ,,ზანი"-კოლხური ტომი, რომლებიც პრეისტორიულ ხანაში ცხოვრობდნენ აღნიშნული მდინარის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე, რის შესახებ დუმს ქართული წყაროები, მიზეზი უმძიმესია...

დიოსკურია, (დიაშ სკური) ლაზური სიტყვაა და ნიშნავს: ,,დედას წყალი". (თანამედროვე სოხუმი) მისი დამაარსებელია ამფიტეუსი და კესკიუსი, მაღალი ალბათობით ორივენი აიეტის შვილები არიან! -აფსირტე და კირკე, რომლებმაც სათავე დაუდეს ჰენიოხებს,(ზღვის შვილები)კოლხური ტომი.

ხალიბები-სახელგანთქმული ტომი, რომლებმაც პირველებმა აღმოაჩინეს რკინა. ჯერ კიდევ ხალიბების შესახებ ცნობებს ვხვდებით ჰომეროსთან. ქსენოფონტე ხალიბებს ახასიათებს უმამაცეს ტომად, რომლებიც რკინის დამუშავებას მისდევდნენ. მათი ადგილსამყოფელი ჭოროხის აუზზე და ტრაპზონ გირჯუნორდუ იგივე ,,ორდუ", საზღვრებშია, რომელიც მდიდარია ლითონის მადნებით. სამწუხაროა ეს უმდიდრესი (როგორც სხვა დანარჩენი) მხარე მომთაბარე თურქების ხელშია.

ძველი ბერძენი მწერლები, რომლებიც კოლხებს გეორგივკებს უწოდებდნენ, (რაც მიწის მუშაკს ნიშნავს) რომელიც ხვნა-თესვას უკავშირდება, არასწორი განმარტებაა ისტორიული გეორგივკების. იგი უკავშირდება პირველ რიგში რკინის მომპოვებელს ,,მეშახტეს" რითაც გაწაფულნი იყვნენ ხალიბები.

ხალიბების გვერდით დასახლებულნი იყვნენ ტიბარენები, რომლებიც ხალიბების მსგავსად დახელოვნებულნი იყვნენ მადნეულის მოპოვებით. მაგრამ ისინი მესაქონლეობას უფრო მისდევდნენ, უპირატესად მეცხვარეობას, რომელიც არის ასევე დასაბამი მეცხვარეობის გავრცელების, სადაც პირველად ტიბარენების მიერ დაიწყო მატყლის დამზადება და მისი გამოყენება ადამიანის ცხოვრებაში. ასე, რომ ჩვენ არამხოლოდ ღვინის ქვეყანა ვართ, არამედ პირველები; რკინის, ოქროს, ვერცხლის, სელის (მატყლის) სამეურნეო და საომარი იარაღის; ასევე საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა. ტიბარენებს ივანე ჯავახიშვილის აზრით ეჭირათ უდიდესი ტერიტორია, რომელსაც დიდ კაბადოკიას უწოდებენ.

ტიბარენების მეზობლად ცხოვრობდნენ მოსინიკები იგივე ჭანები, რომლებიც პონტოს მთიანეთში ცხოვრობდნენ და განთქმული იყვნენ მაღალხარისხოვანი თითბრის დამზადებით.

მოსინიკების მეზობლად ცხოვრობდნენ მაკრონები იგივე მეგრელები. მეგრელი ანუ მარგალი, რომლის ,,ფუძე არის ,,რგ", რაც თარგამოსის შთამომავალს ნიშნავს. მეგრელები განთქმული მეომრები იყვნენ. რომლებიც ძლიერ გამოირჩეოდნენ თავიანთი უბადლო სტრატეგიით და ტაქტიკით, მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობდნენ ნებისმიერ საბრძოლო ხელოვნებას, მათ შორის: ყიჟინას, რომელიც მტრის ბრძოლის უნარიანობას პარალიზებულს ხდიდა და საშინელი თავზარდამცემი ყიჟინას გამო დაფრთხალები თითებით ყურებდაძგებილნი უკან გარბოდნენ. ძველ მეგრულ ენა, ეს იყო დომინანტი კოლხეთის სამეფოსი, რასაც მოწმობს დღევანდელ საქართველოში ძველი მეგრული ტოპონიმების არსებობა, რომელიც დღემდე არს შემორჩენილი.

აი, ეს არის ის რეალური ისტორია, რასაც ასე საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ და დღესაც ჩქმალავენ პუტინის მსგავსი ვერაგი ,,ისტორიკოსები". მიუხედავად მათი (მრავალსაუკუნოვანი) მზაკვრობისა, ხმამაღლა ვაცხადებ: ის რაც ათასწლეულებმა ვერ შეძლო ამ სულითდაცემულ პატარა კაცუნას მსგავსი არსებები შეძლებენ ღვთის საზეპურო ერის განადგურებას?! რათქმა უნდა არა! და, რადგან დღემდე არ შეისმინეს უდიდესი წმინდანის-სერაფიმ საროველის გაფრთხილება: ბუმერანგივით მათვე უკან დაუბრუნდებათ ყოველი შეცოდებანი ჩადენილი ივერიის წინაშე. ისე ჩამოეშლებათ, ეს საშინელი, დღემდე შემორჩენილი ბოროტების უკანასკნელი იმპერია, ხოლო იბერია (კოლხეთი) მუდამ დარჩება ჭეშმარიტი ისტორიის შეუცვლელ სახედ.

ნიკოლოზ იბერი.

## ფოთი-ფაზისი -3000 წლის ისტორიით, არგონავტებზე ლეგენდებით, როდის მოხვდება მსოფლიო ტურისტულ რუკაზე?

### უცხოური პრესა საქართველოზე



იშვიათია უფრო ძველი ლეგენდა - ელინეზე ადრე მედეა გაიტაცეს, არგონავტების ნაკვალევს გამოყვა ცნობილი მოგზაური ტიმ სევერინი და ფაზისში შემოვიდა. არგო რიონში შეაცურეს და არა სხვაგან, როგორც მავანს უნდოდა, რამდენადაც სტრაბონის ცნობით ფაზისი მდებარეობს ზღვას, ტბას და მდინარეს (რიონი - ფაზისს) შორის.

თუ ტურისტული მარშრუტების კრიტერიუმი ყველაზე დიდი ისტორიის მხარეა, მაშინ ფოთი-ფაზისი, არგონავტები უძველესია. როდის იქნება ტურისტულ ჩამონათვალში ფაზისი, მარშრუტით არგონავტების ნაკვალევზე.

******

## სად უნდა წავიდეთ?

BLOOMBERG საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს

გავლენიანი მედია საშუალება BLOOMBERG ვრცელ სტატიაში მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს აღწერს. სტატიაში წარმოდგენილია ტურისტული ადგილების, ქართული კერძების და ღვინის ამსახველი ფოტოგალერეა.

საქართველოს შესახებ სტატია BLOOMBERG -მა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მოამზადა.

,,საქართველო უძველესი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან სავაჭრო მარშრუტზე მდებარეობს, რომელიც ერთმანეთს აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებს, დღეს საქართველო ვიზიტორებს მრავალფეროვან და დაუვიწყარ თავგადასავლებს სთავაზობს.

სამხრეთ კავკასიონის კალთებზე ტურისტებს ლაგოდეხის ეროვნულ პარკში შეუძლიათ ლაშქრობა. მოგზაურებს შეუძლიათ, ეწვიონ თვალწარმტაც ქუთაისს, უმშვენიერეს თბილისს, რომელიც გამორჩეულია ღამის ცხოვრებით და მდიდარი კულტურით. თქვენს სამოგზაურო სიაში აუცილებლად უნდა მოხვდეს ვარძია, ეს არის ქალაქი გამოქვაბულში.

გერგეტის სამება მყინვარწვერთან მდებარე ტაძარი. ეს არის ადგილი, რომელიც ქვეყნის მდიდარი ლანდშაპტის დინამიკურ სილუეტს ქმნის".

სტატიის ავტორი მკითხველს ხაჭაპურისა და ხინკლის დაგემოვნებას ურჩევს. სტატიაში საუბარი ქართველების ხასიათზეც არის.

,,საქართველოს უდიდეს მრავალფეროვნებას ქმნის კულტურული საზოგადოება. ეს არის მხიარული, მეგობრული ამაყი, მაგრამ უბრალო ხალხი. საქართველო არის როგორც ტრადიციული, ასევე მოდის მიმდევარი. თბილისი გამორჩეულია ფერადი სახლებით, გუმბათოვანი გოგირდის აბანოებით, ნეომავრიტალური სტილის ოპერის სახლით, თანამედროვე მშვიდობის ხიდით".

სტატიაში აღწერილია სცხვადასხვა ქალაქი.

,,ბათუმი, ეს არის საზღვაო ქალაქი, კაფებარებით, ძველი ელეგანტური შენობებით. აქ არის ევროპის მოედანი, თანამედროვე ანბანის კოშკი, ალი და ნინოს ძეგლი.

მცხეთა IUNESKO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ადგილად არის გამოცხადებული, ერთ დროს, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დედაქალაქი გარშემორტყმულია ციხე სიმაგრეებითა და მონასტრით".

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ღვინოს, მის 8 ათასწლოვან ისტორიას და დამზადების წესებს.

,,საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი სახეობაა. კლიმატური პირობებით, მთებით, ბუნებრივი წყლებით და მინერალებით მდიდარი მდინარეებით, გარშემორტყმული ვენახები, ქართულ ღვინოს განსაკუთრებულ რეპუტაციას ანიჭებენ.

ქვევრი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შესული, როგორც ღვინის დამზადების უწყვეტი ტრადიცია." წერს BLOOMBERG -ის ჟურნალისტი ჯუანა ფეიტონი.

საქართველოს შესახებ BLOOMBERG -ზე ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მასშტაბური კამპანია დაიწყო.

სარეკლამო კამპანია BLOOMBERG -ის მრავალმილიონიან აუდიტორიას ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ტერიტორიულ პოტენციალს გააცნობს, ტელეკომპანია BLOOMBERG -ს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში 433 მილიონი მაყურებელი ყავს.

# ოთარ შალამბერიძე-მივიწყებული დიდი პოეტი

ორი ეპოქის გადასახედი

## რა დიდი გზიდან მოდის, თუმც, ვერ მოაღწია ჩვენამდე

### უნდა სათანადოდ დავაფასოთ მისი შემოქმედება-როგორც დიდი ლიტერატურული საგანძური



პოეზია ცხოვრების ნაწილია, მისი ანარეკლია ლამაზ ფერებში, ასოციაციებში. ლექსები მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრება ჰქონდა მის ავტორს, ბატონ ოთარ შალამბერიძეს. პატარა დროში, მართლაც დიდი პოეტური გზაა განვლილი-რწმენა, ჰუმანიზმი, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, მაღალი ღირებულებები, პოეტური ფორმითა და შინაარსით ადეკვატურობა, ნოვატორობა, თავისუფალი, ლაღი აზროვნება-ალიტერაციებით, მეტაფორებით, შედარებებით, ასოციაციებით, პოეტის ლექსები შეტანილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოებში.

პიროვნულად თავისუფალი, მიუმხრობელი პოეტი იმდენად თამამი, კრიტიკული და უდრეკი სულისაა, აშკარად უსწრებს თავისი ეპოქის სულისკვეთებას და დღევანდელობას ეხმიანება, თითქოს დღესაც იგივე პრობლემებია. ხელოვანის თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა. ფილოსოფიური ჭვრეტა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, თუ ბუნებრივი მოვლენების. სრულიად ახლებურად დანახული სამყარო, სხარტი აზროვნება, რომელიც არ წყდება მიწიერ ფესვებს, თუმცა, ყოველთვის თავისუფლებისაკენ, ზეციერებისაკენ ისწრაფვის. 2010 წელს ოთარ შალამბერიძე გალაქტიონის პრემიით დააჯილდოვეს.

ამ პატარა საგაზეთო წერილს არააქვს, ამ მართლაც დიდი პოეტის შემოქმედების შეფასების პრეტენზია, ეს კრიტიკოსებმა უნდა გააკეთონ. წლებია ამას ელის სიბრძნით, სიყვარულით გაჯერებული პოეზია საქართველოს ღირსეული მამულიშვილისა. ასევე ღირსეული ადგილი უნდა მიაკუთვნონ მის სამუდამო განსასვენებელს. სამწუხაროდ, არცერთი უწყება ამით არ დაინტერესებულა, მათ შორის შემოქმედებითი კავშირებიდან.

აღსანიშნავია, რომ კარგა ხანია მზად არის ახალი წიგნი, რომელშიც შევიდა გამოუქვეყნებელი ლექსები და ჩანაწერები. იმედია, გამოჩნდებიან მეცენატები, და მკითხველი მიიღებს დიდ პოეტურ ქმნილებათა კრებულს, რომელიც ასე ეხმიანება ამ წინააღმდეგობრივ ეპოქას, გვამხნევებს და სიამოვნებას გვანიჭებს.

სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო 80 წლის იუბილეს. 1932 წელს დაიბადა ძვ. სენაკში, ინტელიგენტების ოჯახში.

იმედია, კულტურის სამინისტრო, შემოქმედებითი კავშირები ხელახლა გადაავლებენ თვალს ამ დიდი პოეტის შემოქმედებას და სათანადო პატივს მიაგებენ მის ხსოვნას, შემოქმედებას, რომელიც მომავალ თაობას ეკუთვნის.

ზ. აბრალავა

## იბეჭდება პირველად

******

აშკარა არი;
სიმართლე რომ ლაფში ეფლობა!
(იცოცხლე!-
ყველა მაცდუნარას ღმერთი შერისხავს).
შენ კი წუთითაც
უფლის მოთქმის არ გაქვს უფლება,
რადგანაც იცი, მოყვარეზე მეტად მტერი გყავს!

******

დიდი ამბავი! იტყვის ვიღაც,
-წყალს სვამდა ჩიტი.
მაგრამ ის წამი მართლა იყო
ამბავი დიდი :
-აუზი გახლდათ ხავსიანი,
ქანდაკი-სადა.
წყალს სვამდა ჩიტი,ანგელოზის
პეშვიდან სვამდა.
კიდევ რამდენი დრო გვჭირდება,
რამდენი ხანი,
რომ იმ ჩიტუნამ ჩემი ხელით
დალიოს წყალი?!

******

სულ ამაო არის
წუხილი და შფოთვა.
უღალატო ქალი
არარსებობს, ოთარ!

******

ძუნწად მიყვება მემატიანე:
',,ჩუმად, ქურდულად,
წალიკ-წალიკად
მოადგა საზღვარს ლეკი ტიალი,
და ყველაფერი უცბად წალეკა"
თითქოს მიმიძგა აქ სიტყვის ჯადომ,
რომ ერთ სახელში სხვა ხიბლიც ჩადო;
ჭირიცო ზოგჯერ სიკეთეს ტოვებს,-
ასე დამმოძღვრეს ქართლის მინდვრებმა:
არ ყოფილიყო ლეკიანობა,
,,წალეკილს" ვინღა დაგვიმკვიდრებდა!

******

თუმც თქვენს სახელს სევდიანი ადევს
იერი
და ფოლიანტებს ფერგადასულ ზღაპრად
შემორჩით,
თქვენ იმით მაინც, უმთავრესით, ხართ
ბედნიერნი,
რომ გიცხოვრიათ თავისუფალ
საქართველოში!..

******

და ეს ღამეც ვიცი,ისე გადიარს,
დარდს და ვარამს ეკლებივით მომისევს;
სიყვარული ჩემთვის ის ღალატია,
ხევისბერმა რომ დასწამა ონისეს!..

******

საქართველოს სასწაული
რა ამორგებს, ნეტა ამ ქარს,
ვერ გაიგებ, რის ჰომი აქვს,
ზოგჯერ მართლა ისე გაჰკრავს,
ჯურღაის ფარს, თითქოს შია...
საქართველოს სასწაული
შამქორშია, დიდგორშია...
თუ არცერთის არაგჯერა,-
რუსთაველის სტრიქონშია...

******

დასაბამიდან რაღაც იდუმალს,
გვანიშნებს ხოლმე მედის ვარსკვლავი,
მაგრამ აქამდე ვერ აგვიხსნია,
ვერვის მისი ელვის სარსალი...

******

ოჰ, სიყვარული ჩემთვის ისაა,
რაიც თვითონ ვარ სიყვარულისთვის.

******

მერე რაა მთაზე რომ დგახარ?-
არ გშვენის კვეხნა!-
თავმდაბლობაა უმაღლესი
მწვერვალი ქვეყნად.

******

ვაი იმ მიწიერ სიყვარულს,
რომელსაც ციური მადლი არ ახლავს.

******

ვუახლოვდები სიბერის უღრანს,
ხოლო საშველი არსაით არ ჩანს.
მარტო იმაზე ვდარდობ და ვწუხვარ-
არ დავემსგავსო ბოლო წამს ლაჩარს...

******

შეხედე, როგორ აწყდება ჭიგოს
გადარეული ვნებისგან ვაზი!
ცხოვრებას (რაც გინდა მაძღარი იყოს)
შვენის ცხოვრებით მ,შიერი კაცი.

******

მგონია ამ წუთას გავჩნდი
და სიყვარულის ამბავს ვზეპირობ...

******

მე ძლიერებას კარგად ვხვდები
იმ სიჩუმითაც
კრიტიკოსები რომ ხვდებიან
ჩემს ახალ წიგნებს.

******

სიყვარულსა და სიძულვილს შორის
კვლავ მარტოდ ვივლი, როგორც მივლია.

## ნაპო თოდუა
## ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



ხეები

ჩვენ ქუჩაზე ხეები დარგეს,
რომ არ მორწყა არ ივარგებს,
არსად არ ჩანს მომრწყავიო
ეს, სირცხვილო მომკალიო.

************

ხე
ჩემს ქალაქში ხე რომ დავრგე,
თითქოს ამით რაღაც ვარგე.

************

ევალება
ყველაფერი ვიცით სხვას რა ევალება,
აბა რატომ ვიბნევით ჩვენ რა გვევალება,
სანამ ვერ ვირწმუნებთ გვმართებს ქვეყნის ვალია
ეს, ქვეყანა ცოდვაა, ვაი ჩვენი ბრალია.

სიახლოვე

დამირეკო, დაგირეკო კარგია!
მაგრამ უფრო მისვლა მოსვლა გვარგია!
დავივიწყოთ ყოფის ხათაბალები
ეს ულევი და ზედმეტი ბარგია!

************

ცამუ გეძუ
მუშენ მიორს, მუშენ ვუორქ,
კოჩ ვაგოკითხ ცამუ გეძუ,
ცყურათ მიჭვიცინა შორშე
დღას ვაგეგე, შორი მეძუ.

ხმა რეგიონიდან

# ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ანაკლიას ხელს არ უშლის

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ქალბატონ ნათია თურნავას ღია წერილი




უკვე მერამდენე წელია ხმა არ დაგვიძრავს. ღმერთია მოწმე ფოთელე-ბი არც ამჟამად ვაპირებდით ანაკლიის პორტის აშენებასთან დაკავშირებით პოლემიკაში ჩართვას, თორემ საკამათო და გასაპროტესტებელი თავიდანვე ბევრი გვქონდა.

მაგრამ საქმის ვითარება, მთავრო-ბის სამსახურების ბოლო დროინდელი მზაკვრობანი გვაიძულებს ეს დუმილი დავარღვიოთ, წინასწარვე ვგრძნობთ და ვიცით ,,სპილოს წინააღმდეგ გოშიას კნავილისა'' არ იყოს, ამჯერადაც ჩვენს ნათქვამსაც დიდი შედეგი შეიძლება არ მოყვეს, მაგრამ ისიც საქმეა, თუ სიმართ-ლე ხმამაღლა გაჟღერდება და გაცხად-დება.

ახლა კი მოგვისმინეთ ფოთელებს. გაეცანით ჩვენს პოზიციას.

მსოფლიო ისტორიის წყაროებში დღემდე არ მოიპოვება კოლხეთის სა-ხელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და მისი აღზევების ზუსტი ცნობები. ამდენად ფოთზე, მის ეკონომიკურ გან-ვითარებაზე, ზღვასთან ფუნქციურ და-მოკიდებულებაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეზე, ცნობები ლამის ადამის ჟამიდა-ნაა საძიებელი. მაგრამ მრავალი წყა-როებიდან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყველა არსებული წყაროებიდან ცნო-ბილია, რომ ფოთი (ფაზისი, ფუთი) იყო უდიდესი იბერიული ცივილი-ზაციის უმნიშვნელოვანესი საზღვაო ქალაქი, სადაც არსებობდა მსოფლიო მნიშვნელობის განათლების ცენტრი.

რადგანაც არსებული წყაროები მიგვითითებს საზღვაო ქალაქზე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ აქ, ფოთში, არ-სებობდა საზღვაო ნავსადგური, რომე-ლიც თავისი დანიშნულებით ამართ-ლებდა იმდროინდელ მოთხოვნებს. ის სხვა დროსაც, ყველა ეპოქაში თავის დონეზე იდგა. საკმარისია აღნინიშ-ნოს, რომ 1941-45 წლების მსოფლიო ომის დროს ნავსადგური შავ ზღვაზე ძლევამოსილი საბჭოთა ფლოტის ერთა-დერთი ნავსაყუდელიც და სამხედრო ხომალდების ერთადერთი სარემონტო ბაზა (201 ქარხანა) იყო.

რა თქმა უნდა არ არის ინტერესმოკლე-ბული ის ნიშნები, თუ მაინცდამაინც ამ გეოგრაფიულ წერტილში რატომ გაშენდა ქალაქიც და ნავსადგურიც (უფრო სწორად სა-ნავსადგურო ქალაქი ფოთი) და არა სხვა-გან, ვთქვათ იმავე ანაკლიაში, ან ლაზი-კაში, ან ვთქვათ დი-ოსკურიაში, რომელიც იმ დროს საკმაოდ ცნობილი ქალაქი იყო. შეგახსენებთ, ერთ დროს მეტად წარმატებულ ნავსადგურად ითვლებო-და ყულევი, ანუ რედუტ-კალე . მაგრამ ეს ისტორიული საიდუმლოებებია.

ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ, რომ მეცნიერული კვლევებისა და დისკუ-სიების შედეგად გადაწყდა ნავსადგუ-რი აშენებულიყო ფოთში. და ფოთის ნავსადგური ათეული საუკუნეების განმავლობაში (ბევრად ადრე ვიდრე 1858 წელს რუსეთის იმპერატორი ფოთს ქალაქის - ნავსადგურის წოდებას მი-ანიჭებდა) პირნათლად ასრულებდა საქართველოს კარიბჭის საპატიო მო-ვალეობას.

დღეს სიმართლეს არავინ გეტყვის თუ რატომ და რა მიზნით თანამედრო-ვე

,,ახალგამოჩეკილმა'' სახელმწიფო ფუნქციონერებმა ხელი ჰკრეს ძველ მოაზროვნეთა კვლევა-ძიებებს და მათ საკუთარი უგუნური იდეები დაუპი-რისპირეს.

საჭიროა აშენდეს ახალი ტიპის ნავსადგური-ღრმაწყლოვანი, მრავალ-პროფილიანი, მრავალფუნქციანი, უფრო მეტ რაოდენობა გემებზე გათვლილი? რა, ფოთის ტერიტორიაზე არ იყო ამის საშუალება ,,აბრეშუმის გზის" ისტო-რიული განაკვეთი არ გაგემრუდები-ათ?

იმათთვის ვინც გეოგრაფიაში ,, ცო-ტას'' მოიკოჭლებს, გაგიმხელთ, რომ ფოთის ნავსადგურიდან დასავლეთ-ჩრდილოეთით ყულევის მიმართულე-ბით თვით ყულევამდე გადაჭიმულია თითქმის აუთვისებელი სივრცე 6-7 კმ სიგრძით და ქალაქის მეორე მხა-რესაც ასეთივე თავისუფალი სივრ-ცეა.

ასე რომ ფოთში ნებისმიერი სიდი-დის და პროფილის ნავსადგურის მშენებლობაა შესაძლებელი. თუ სალა-პარაკო იქნებოდა რიონის ნატანებზე , მისი ნეიტრალიზება და ნავსადგურის აკვატორიაში შეუღწევლობა არ უნდა იყვეს მიუღწეველი პრობლემა.

არ გვინდა ვინმემ იფიქროს და ცოდვა მოგვაწეროს ფოთელებს ბოლ-მა აღრჩობთ და შურით აღივსენო, რომ არჩევანი ანაკლიაზე შეჩერდა. არა, პირიქით ფოთელები მივესალმებით ჩვენი ქვეყნისთვის ყოველ სასიკეთო ნაბიჯს. და განა რამე ჯობს ორი და სამი კი არა ათი ნავსადგური იქნებო-დეს ნეტავი გემებით გავსებული და ტვირთით გადაჭედილი.

უბრალოდ ისმის კითხვა, რატომ გახდა ანაკლია მიჩნეული საქართ-ველოს შავი ზღვის სანაპიროზე ერთა-დერთ სტრატეგიულ ადგილად ახალი ნავსადგურის ასაშენებლად? რა უდევს ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად? პა-სუხები ამ კითხვებზე გასაჯაროე-ბული არ არის. პრესის ფურცლებზე გაჟღერებული პუბლიკაციებიდან რჩე-ბა შთაბეჭდილება, რომ ამ საკითხით მთავრობაშიც და ქვეყნის მმართ-ველ მაღალ ეშელონებში ბევრნი არი-ან დაინტერესებულნი, ვინც საკუთარ ჯიბეზე მეტად ზრუნავენ, ვიდრე სა-ხელმწიფოს სარგებლობაზე. ვიცი ნა-მეტანი თამამი ნათქვამია და ბევრს არ მოეწონება, მაგრამ პრესაში გაჟღერე-ბული ფაქტები, რომელიც არავის არ უარყვია, სხვანაირი დასკვნის საშუ-ლაებას არ გვაძლევენ.

აბა სხვა რით შეიძლება აიხსნას ის ვითარება, რომ ფოთის ნავსადგურს გააჩნია ყველა პირობა რეკონს-ტრუქცია-გაფართოებისა და ახალი ღრმაწყლოვანი ნავმისადგომების გა-შენების შემდეგ მიიღოს დასამუშავე-ბლად ნებისმიერი წყალწყვის საჭირო რაოდენობით გემები და ეს ყველაფე-რი ფინანსურად უფრო იაფი (ყველა-ზე ცოტა ხუთჯერ მაინც დაჯდება) და დროშიც ბევრად ადრე (მაქსიმუმ 3-4 წელიწადში) მოეწყობა. თანაც გა-სათვალისწინებელია მთავარი გა-რემოება, რომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია-გაფართოებას აწარ-მოებენ ამერიკის შეერთებული შტა-ტების კერძო კომპანიები და ნავსადგუ-რის ამჟამინდელი მფლობელი ,,ეი პი ემ ტერმინალის" ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობის ფინანსების ჩაურევლად.

ზრდილობისათვის ვეკითხებით მი-ნისტრს- როგორ მოვიქცეთ, არ ჩავა-ტარებინოთ ინვესტორს და მფლობელს გაფართოების სამუშაოები, ე.ი. უარი უთხრათ თქვენივე მეშვეობით გაფორ-მებულ ხელშეკრულების შესრულება-ზე და დაველოდოთ როდის მოიცლით ფოთელებისათვის და ,,ჩვენთანაც განა-ხორციელებთ მნიშვნელოვან ლოჯის-ტიკურ ღონისძიებებს", რომელიც ჯერ გააზრებულიც არა გაქვთ?

,,ანაკლიის განვითარების კონსეფციუმი"-ს შეშფოთება, რომ ფო-თის ნავსადგურის რეკონსტრუქციით ანაკლიის პორტის პროექტის შეჩერების საფრთხე შეიქმნა, წმინდა წყლის კომე-დიაა და სახელისუფლებო სტრუქტუ-რა ასეთ ანკესზე არ უნდა ეგებოდეს.

,,ბავშვი არ დაბადებულა და აბრა-ამს არქმევდნენო'', იმისი არ იყოს, უკვე ატეხილია გნიასი ,,ფოთის ნავსადგუ-რი უშლის ხელს", ,,ნოვორასიისკის ნავსადგური ართმევს ტვირთებს" და სხვანი.

ზოგიერთებს ძალიან იოლად მიაჩნი-ათ ანაკლიის გიგანტი ნავსადგურის აშენება და ექსპლუატაციაში გაშვება. არა ბატონებო, ეს ჰალა-ჰუპის რგოლე-ბი არაა ,,ტანის" ერთი მოქნევით თეძო-ზე ბზრიალასავით დაატრიალო.

არაფერს ვამბობთ ამ პროექტის გან-სახორციელებლად არსებულ ბუნებრივ, ტექნიკურ და ფინანსურ სიძნელეებზე და ბევრ სხვა შეუსაბამობაზე. ჩვენი შეხედულებით პროექტი დაგეგმილზე ბევრად ძვირი დაჯდება და დროშიც ძალიან გაიწელება.

ცალკე თემაა ტვირთნაკადების რეგუ-ლირება. ნურავის ეგონება, რომ აშენდა ანაკლიის ნავსადგური და მას უწყვეტ ნაკადად მიაწყდება ,,გიგანტი'' გემები ყველა მხრიდან და ზღვიდან. ტვირთ-ნაკადები მსოფლიოში მკაცრად რე-გლამინტირებულია და ტყუილად ნუ-რავინ იფიქრებს, რომ ყველა ტვირთები ანაკლიაში შეაქუჩუჩოს. ეს აბსურდია, ეს შეუძლებელია. ყველა ტვირთს თა-ვისი მისამართი ექნება, თავისი მიმარ-თულებით ივლიან და საჭირო იქნება საქართველოს ყველა ნავსადგური ყო-ველნაირად მზად იყვეს ტვირთების გა-დასამუშავებლად.

ფოთის სავსადგურის რეკონსტრუქცია - გაფართოების დაბლოკვა ეს ვიღაცის თავში მოსული უგუნური აზრია და ის ეკონომიკური სტაგნაციის გარდა კარგს არაფერს არ გამოიწვევს. ნავსადგურე-ბის და რეგიონების დაპირისპირება მრავალი უარყოფითი შედეგის მატარე-ბელი იქნება. კონკურენციამ პორტებს შორის პირიქით უნდა გაააქტიუროს ბრძოლა დამატებით ტვირთების მოსა-ზიდად, გამოიწვიოს ფასების შემცირება, უკეთესი მომსახურება-სერვისის შექმნა და სხვა. ამდენად ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა მარტო ანაკლიის, არა-მედ საქართველოს სამივე ნავსადგურის ასაშენებლად, ვინაიდან ნავსადგურები ქვეყნის სიძლიერეა, მისი შემდგომი გან-ვითარების, ეკონომიკის გაძლიერების, ვაჭრობის გაზრდის და საერთო ჯამ-ში ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურ-თიერთობის საუკეთესო საშუალება და საფუძველთ-საფუძველია.

პატივისცემით,
ქ. ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე
/ო. ხუხუნი/

თარიღი

# 1958 წლის მე-5 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 61-ე შეხვედრა



სკოლის წლები ყველაზე ლამაზი წლებია ადამიანის ცხოვრებაში.

სკოლის ზარის წკრიალი სამუდამოდ ამახსოვრდება ადამიანს. ,,მახსოვს პირ-ველად" - აქედან იწყება თითოეული ჩვენთაგანის სამომავლო გზა.

2019წლის 22-23ივნისს კვლავ შეიკრიბ-ნენ, უკვე 61-ედ, მე-5 საშუალო სკო-ლის კურსდამთავრებულები. კლასის ხელმძღვანელის, ბატონ ილია ქვარცხა-ვას მეთაურობით. ეს ჭაღარა ,,მოს-წავლეები" კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მე-5 სკოლასთან გაიხსენეს კლასი, მერ-ხი საიდანაც დაიწყო მათი ცხოვრების გზა. მასწავლებელთაგან თითქმის აღა-რავინ შემორჩათ, მაგრამ მათი სახელე-ბი და ამაგი არცერთს არ დავიწყებია. განსაკუთრებით ხშირად ისმოდა სკო-ლის დირექტორის თინა სარიშვილის სახელი. მისი მოფერება და გაწყრომაც რაღაც თავისებური და დაუვიწყარი იყო.სწორედ ასეთებზე უთქვამს ქართ-ველ ხალხს: ,,მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის მშო-ბელი". სადღა არიან დღეს მათი მს-გავსი მასწავლებლები. სწორედ სკო-ლის მასწავლებლების დამსახურებაა ასე ლაღად რომ გრძნობენ თავს ეს 80 წელს მიტანებული თმაჭაღარა ,,მოს-წავლეები". მართალია არც სირბილი შეუძლიათ და არც აჩქარებული ნა-ბიჯით სიარული, მაგრამ გული მაინც აქვთ ახალგაზრდული.

მართლაც ლამაზი დღე იყო, ლამაზი საათი, გაბრწყინებული სახეები, მზე-ჩაღვრილი თვალები, და რაც მთავარია ყვავილები.

ყველაზე მეტი მოფერება ბატონ ილი-ას ხვდა წილად, ის იყო ერთადერთი მასწავლებელთაგანი, რომელიც ესწრე-ბოდა ამ ზეიმს და ის იყო საზეიმო სუფრის თამადა.

ისევ ცელქობენ 80 წელს მიტანებუ-ლი ყმაწვილები ისე, ისე უხარიათ სი-ცოცხლე, როგორც მაშინ. ეს სკოლის დღეებით დაბრუნდებოდეთ ნეტავი.

აი ისინიც სურათზე: (დგანან მარცხნიდან) ნორაკია ჯემალი, ნორაკია გივი,კუხალეიშვილი მარლენი, ქვარცხა-ვა ჯიმი, აბდუშელიშვილიო გივი, ბოკუ-ჩავა იური, ქვარცხავა ილია, მიქაძ ომარი, დევაძე სოსო, ლაბარტყავა როლანდი,

(სხედან მარცხნიდან): გვაზავა მურ-თაზი, ლაღიძე ივეტა, გუჯაბიძე ციალა, ჩიჩუა გენრიეტა, ბებია ივეტა, ლაგვილა-ვა დუმილი, ბოლქვაძე დალი, ლაღიძე ნუნუ, ჯგუბურია ეთერი. (რესტორანი ფაზისი; 22-23 ივნისი, 2019წ)

და შემდეგ ტრადიციული ქართული სუფრა რესტორან ,,ფაზისში". რომელ-საც ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა ქალაქის კოლორიტი, ფოთის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე, ყოფილი მე-5 საშუალო სკოლის 1958 წლის კურს-დამთავრებული კლასის დამრიგებელი 90 წელს მიტანებული ბატონი ილია ქვარცხავა.

იყო ქართული სადღეგრძელოები, სიყვარულით წარმოთქმული ლამაზი სიტყვები, სიმღერები. ასე გაილია კიდევ ერთი ლამაზი დღე.

მრავალჟამიერ და თქვენი დღეგრძე-ლობისა იყოს.

ი. სპერი

# სტუმრად ბადრი ბასილაიასთან -ძირძველ ფოთელთან
## საოჯახო მუზეუმი - სახელმწიფოს ცხოვრების თანაზიარი



„სიცოცხლე იმას ნიშნავს, რასაც მანამდე ნიშნავდა, სიცოცხლე ის არის რაც აქამდე იყო, ძაფი არ წყდება”.

პირველად რამაც შეიძლება აქ ჩაგაფიქროს - ცხოვრების უწყვეტობა და მარადიულობის განცდაა, როცა ბადრი ბასილიას ოჯახში ეწვევი, თვალში საცემი ორი სახლია - ერთი პატარა ძველებური და მეორე - თანამედროვე. სწორედ, იმ პატარა სახლს აქვს დროის დატვირთვის - დროის აღდგენის დავალება-უკვდავყოფა მოვლენების, საგნების აღქმის. აქ მხოლოდ ოჯახური გარემო არაა პრივილეგირებული, აქ ეპოქის სუნთქვაა. ამ ტრადიციული ოჯახის ცხოვრებაც სახელმწიფოს ცხოვრების თანაზიარია. გასული საუკუნის დაუნდობელი წლები, ბოლშევიკებისაგან დევნილი მამა-კალისტრატე ბასილაია-დიდი მეურნე კაცი, ნამდვილი მეჯოგე-მდიდარი თავისი შრომით, მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი, ხუთი ქალიშვილი და ერთი ბიჭი-ყველასგან განებივრებული ნაბოლარა ბადრი ბასილაია-რომელიც იხსენებს რაოდენ ბედნიერები იყვნენ -სამი თაობა ერთ ბუდეში-თითქოს ამ პატარა სახლში მეტი სიხარული, სტუმრიანობა და ბედნიერება იყო-კედლებს ამშვენებს წარწერები, გამონათქვამები-მთავარი დევიზი-სიყვარულია მოყვასის, სამშობლოს, ქვეყნის სამსახური.

სადაც სიყვარულია იქ ღმერთია, რწმენა, ერთობაა, სიხარულია. ირგვლივ ქართული ხალხური ჰანგები იღვრება, სიმღერა საუკუნის უტყუარი ნიშანსვეტია და უკვდავი ძეგლი თავისი დროის, მუდამ თანამედროვე, როგორც მარგალიტი, აქ ყურადღებას იქცევს უძველესი დროის მუსიკალური საკრავი-პატეფონი, გრამფირფიტები, სადაც ფენომენალური ხალხური ანსამბლები ასრულებენ „ჩელას”, „სი ქოული ბატას”, „ხასანბეგურას”, „ჩვენ მშვიდობას”-საოცარი ხმები, ჰანგები-დროის სუნთქვა და სურნელი მოაქვთ!

გაოცებას იწვევს პეიზაჟები ქალაქის ცხოვრებიდან-ნავსადგური, ნიკოლაძე, ტაძარი, ხიდი რიონზე, უნიკალური მასალები მოვლენებზე, ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ფოტოები, სურათები, ნახატები, ოჯახის ახლობლები-ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, რომელთაც სიყვარული, რწმენა, სულიერება აერთიანებთ, ამ უბრალო ადამიანების მიღმა იდგა გამორჩეული ქართული ხასიათი, სიკეთე სათნოება, პატიოსნება, ერთგულება, რა დიდი გზაა ცხოვრებისა, ტკივილითა და სიხარულით გავლილი ჩვენი თაობის ცხოვრება, თითქოს დასაბუთებული.



ძველი ნივთებით ბეჭედდასმული. გინდა მოეფერო, ბევრი რამ ტრადიციულად თავის ადგილასაა, ყველგან გასაოცარი კოლექცია-ჭინჭილები, ჭურები, ყანწები „ეს გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დავიწყებას”- ვიხსენებთ მეგობრებს.

ხსოვნას ინახავს ყველა კუთხე-როგორც არქივი. „სული ისე მძიმეა ერთ კაცს მისი ტარება არ ძალუძს”.

ცოცხლდება გარდაცვლილთა სახეები, რა მხიარულება იყო აქ, არადა, ამ სივრცეს მამის მეგობრები ავსებდნენ, რომელთაც ახლახან მოუყარა თავი და აქეიფა. ერთი დღე ხსოვნის ირგვლივ დაუთმო მათ.

კარგი მეუღლე-შვილების დედა ლია



ტაბაღუა, ყველას გვახსოვს მისი სითბო, კერიასთან გაშლილი სუფრა. სიცოცხლე გრძელდება...

ოჯახის მეთაური ბადრი ბასილაია როგორც დიდებული პატრონი, ისე უვლის აქაურობას. მეუღლე მაია კორძახია ყველა საქმეში გვერდში უდგას. შვილიშვილი, პატარა ბიჭი წინაპართა სურათებს ეფერება. იქნებ, ეს საკმარისია ხსოვნის უკვდავყოფისათვის. გაიზრდება და ასახელებს გვარს, ჯიშჯილაგს.

ბატონი ბადრი მადლობას უხდის ჰიდრომანქანათმშენის გენერალურ დირექტორს, ბატონ **გიზო ხარჩილავას** საბაჟო სამსახურის ყოფილ იფროსს, ბატონ **რიჩარდ ხუადეს** დახმარებისა და ყურადღებისათვის

ვტოვებთ იქაურობას - ისევ ცოცხლდება გასული საუკუნის ფოთი - ოჯახის გადასახედიდან, თავისი ტკივილითა და სიხარულით განვლილი გზით, წინააღმდეგობებით, ომით და მშვიდობით. დროის მდინარება თითქოს ერთ დიდ კინოდოკუმენტური ფილმის ჩარჩოშია მოქცეული. თითქოს გავალდებულებს იცხოვრო რამდენიმე დროში და გახსენებს - ვინც პატივს არ მიაგებს წინაპართა ხსოვნას, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.

*********

### ბადრი ბასილაია - ბავშვთა ფეხბურთის სათავეებთან.

50 წელი სრულდება 3 აგვისტოს ფოთის „იმედის” გამარჯვებიდან.

ბადრი ბასიალიასათვის ფეხბურთი იყო მთელი ცხოვრება, მას სიყვარულით ქართველ ფეოლას ვეძახით, იგი წლების განმავლობაში იდგა ბავშვთა ფეხბურთის სათავეებთან. 16 წლის მწვრთნელი უკვე საქვეყნოდ იყო აღიარებული. 1969 წელს „ტყავის ბურთის პრიზზე” გამართულ შეჯიბრზე მისმა გუუნდმა „იმედმა” საქართველოში პირველი ადგილი დაიკავა. და მომდევნო წლებშიც საპრიზო ადგილებზე გამოდიოდა. 1977 წლის რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ბავშვთა მინი ფეხბუურთში ფოთელები მოერე ადგიილზე გამოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი მომდევნო წლებში ქვეყნის წამყვან გუნდებში თამაშობდნენ. ბადრი ბასიალიას აღზრდილებიდან 4 ფეხბურთელი თბილისის დინამოში მიიწვიეს. აქ ქვეყნის ღირსებას იცავდნენ **ნუგზარ მიქაბერიძე, მერაბ თევზაძე, თამაზ ცხვიტარია**.

ფენომენალური მწრთვნელი არაერთხელ დააჯილდოვეს სიგელებითა და მედლებით. იგი ახლა „იმედის” გამარჯვების 50 წლისთავისათვის ემზადება.

ზ. აბრალავა

---

დიდი იუბილე

## „ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე! ”
## გივი (გული) ლოლუა -70



ნაღდი ფოთელი, ასე გიცნობთ მთელი ქალაქი, ღირსეულად იარეთ ცხოვრების რთულ გზაზე, ქედი არასდროს მოგიხდიათ, ქართველი კაცის ყველა კარგი თვისებით დაჯილდოვებულს. სიკეთით სავსე გული დაგაქვთ და ყველას გინდათ უწილადოთ სიყვარული, სიამოვნება მიანიჭოთ, დაეხმაროთ, რის საშუალებასაც ყოველთვის არ იძლევა დუხჭირი ცხოვრება. იშვიათად მინახავს კაცი, სხვისი კარგად ყოფნა ასე რომ ახარებდეს, „ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა”- ეს თქვენი ცხოვრების დევიზია და ეს სულისკვეთება დიდი მშობლებიდან მოდის. ასე, რომ ამშვენებდნენ გასული საუკუნის ფოთს. მათ საამაყო შვილები გაუზარდეს ქვეყანას - ცნობილი კომპოზიტორი და პედაგოგი ლეილა ლოლუა, გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი ნუგზარ ლოლუა, ღირსეული მოქალაქე, კარგი სამეურნეო მუშაკი გული ლოლუა დრომელიც მეუღლესთან ლალი ჭანტურიასთან ერთად კარგ ვაჟკაცს უზრდით ქვეყანას.

თქვენი შრომითი საქმიანობა ნახევარ საუკუნეს მოიცავს, იყო რთული პერიოდები, მაგრამ სიძნელეებს არ გაქცევიხართ, ყველგან პატიოსნება სათნოება და ქალაქის სიყვარული გამოგარჩევდათ.

ტკბილად გვახსენდება ახალგაზრდული წლები, შემართება, მაშინ სხვა წყობა იყო, თუმცა, კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება და შენც გამორჩეული იყავი, თანამდებობები არ გაკლდა, არც ახალ დროებას ჩამორჩებით.

კვლავაც წელთა სიმრავლეს, სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებთ კარგო ფოთელო, ჩვენო ძმაო და მეგობარო!

მეგობრები

---

## ფოთში ახალი სატუმბი სადგური აშენდება



ფოთში ახალი სატუმბი სადგური აშენდება. საპროექტო წინადადება ქალაქის მუნიციპალიტეტში პროექტის ავტორებთან ერთდ განიხილეს. კუნძულის უბანში ახალი სატუმბი სადგურის საპროექტო წინადადებების განხილვას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია. მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანია შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. კუნძულის უბანში ძველი სადგურის ნაცვლად ახალი, მოდერნიზებული სატუმბი სადგური აიგება, რომლის ორი არხი წამში 800 ლიტრ წყალს გაატარებს. კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ძლიერი წვიმების დროს უბანში ქუჩების დატბორვის თავიდან ასაცილებლად. პროექტი შპს „გიასმა“წარმოადგინა.



---

## მილოცვა ზაურ ლუტიძეს
### დაბადების დღესთან დაკავშირებით
### მანქანათმშენებლობის დიდი ამაგდარი, დიდი ფოთელი



ორი საუკუნის საინჟინრო - ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელს დაბადების დღეს ულოცავენ თანამშრომლები, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მანქანათმშენებლობის განვითარებაში, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს ჰიდრომანქანათმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერს. ბატონმა **ზაურ ლუტიძემ** მთელი ცხოვრება ამ წარმოებას დაუკავშირა. ერთ პროფესიას ბოლომდე ემსახურა, დიდი ერუდიციისა და კვალიფიკაციის ინჟინერი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დარგს. ქარხნას გაქონდა პროდუქცია უცხოეთის ბაზარზე. საწარმო იქცა ახალგაზრდა სპეციალისტების სამჭედლოდ. მათი კვალიფიკაცია, მართვის ახალი მეთოდები, მენეჯმენტი გახლავთ წარმატების საიდუმლო. აქ ყოველთვის მაღლა იდგა საზოგადოებრივი ინტერესები, თუმცა გვიან განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხეს დარგის განვითარება.

ძნელია ადამიანისთვის ამის შეჩვევა, ვინც მთელი ცხოვრება დაუკავშირა მანქანათმშენებლობას, ბატონი ზაური ყველაფერს აკეთებს საწარმოს ხელმძღვანელობასთან, ბატონ **გიზო ხარჩილავასთან** ერთად წარმოების შესანარჩუნებლად, სამწუხაროდ ძნელია იმის გამოსწორება, რაც ქვეყანას დაატეხეს ურაპატრიოტებმა, კორუმპირებულმა ხელისუფლებამ. უყურო ყოველივეს როცა ცხოვრობდი, აზროვნებდი სახელმწიფოებრივად, ქვეყნის საკეთილდღეოდ, თითქოს სხვა ეპოქაში, სხვა მორალურ-ზნეობრივ ღირებულებათა ხანაში ვართ. იმედს მაინც არ კარგავ, რომ რაღაც შეიცვლება, ადამიანები მოეშვებიან შუღლს და მტრობას. ახალგაზრდები თავის სიტყვას იტყვიან და მტრობით დანგრეულს სიყვარულით ააშენებენ.

წლები მართლაც, რომ დიდი სიმდიდრეა, რამდენი რამ არის გასასსენებელი მეგობრები, შეხვედრები, ლამაზი დღეები-დღესასწაულები.

სამწუხაროდ მეგობრები ჩუმად, თავისი გზით მიდიან და რჩება დიდი ტკივილი. არაფერს არ შეუძლია ამ სიცარიელის შევსება, და გული წყდება, რომ ვერ მოასწრო სათანადოდ მოფერება.

მთავარი ციტადელი ოჯახია-ბატონი ზაური ასევე კარგი მეოჯახეა, დიდებული მამა, მეუღლე, ბაბუა. მეუღლის გარდაცვალებამ დიდი დაღი დაასვა. ეს იყო ლამაზი ურთიერთობის წლები, მარადიული სიყვარულით გაბრწყინებული, ეამაყება, რომ სახელოვანი შვილები აღუზარდა ქვეყანას, ორი ქალიშვილი - უფროსი ინგა ილიას უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ორი წიგნის ავტორია, ხოლო უმცროსი იზა ექიმი-კარდიოლოგია. თუმცა, ამაგდარ კაცს მეტი დრო სჭირდება, ასევე ქვეყანაზე, მის წარმატებებზე ფიქრი არ ასვენებს. ქარხანა არა ერთი საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავით არის დაჯილდოვებული მსოფლიოს ბიზნესში მნიშვნელოვანი წვლილისთთვის ქარხნის ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა. დრომ კიდევ ბევრი რამ ასწავლა საწარმოს ხელმძღვანელობას, რათა ახალ რელსებზე გადავიდნენ.

დადის ამჟამად თავის საყვარელ ქალაქში 80 წელს მიტანებული ზაურ ლუტიძე და ღიმილიანი ფოთელები ენატრება, ვისთანაც გაატარა ცხოვრება, საუკეთესო წლები, ბევრი მათგანი დაბადების დღეს აუცილებლად მიულოცავს, იმედი აქვს, რომ ქარხანა იმუშავებს სრული დატვირთვით, დაიძლევა, გაქრება სიდუხჭირე, სიღარიბე და იქნებიან ბედნიერი ადამიანები, მეტი მომღიმარი სახეები.

კიდევ ბევრი დაბადების დღე მოგვილოცოს ბატონო ზაურ, დიდხანს იყავით კარგად, კარგო ფოთელო და კარგო მოქალაქევ.

მეგობრები.

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## გოჩა კურდღელიამ ფოთელ სპორტსმენს მიღწეული წარმატება მიულოცა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია , მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა და ა(ა)იპ სპორტული გაერთიანების დირექტორი ბექა გუგუშვილი, 2019 წლის მინსკის მეორე ევროპულ თამაშებზე ბრინჯაოს მედალოსან სპორტსმენს, გივი ნადარეიშვილს შეხვდნენ და მიღწეული წარმატება მიულოცეს. ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გამართულ ევროპულ თამაშებზე 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფოთელმა გივი ნადარეიშვილმა ბელარუსი მაქსიმ კრასინსკი 10-1 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მეორე ევროპული თამაშები ბელარუსის დედაქალაქ მინსკში 21-30 ივნისს ჩატარდა და მასში 50 ქვეყნის 4000 -ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

## საჭადრაკო ფესტივალი დასრულდა




დასრულდა მე-14 ფოთის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 10 ქვეყნის 400-მდე მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა და პაატა ლაგვილავამ, ფედერაციის წარმომადგენლებმა დააჯილდოეს. ფესტივალის შედეგების მიხედვით, ფოთის საუკეთესო მოჭადრაკეებად გაგა გვასალია და გიორგი კვარაცხელია დასახელდნენ, რომლებმაც თავიანთ ასაკობრივ კატეგორიაში პირველი საპრიზო ადგილები დაიკავეს. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული აქტივობა. ღონისძიების საპრიზო ფონდი 45 ათას ლარს შეადგენდა.

## ველომარათონი



26 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა ველომარათონი 30 კმ-ზე, რომელმაც სტარტი ბარამიას ქუჩიდან აიღო და ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასტუმრო ,,პალმ ბიჩის" მიმდებარე ტერიტორიასთან დასრულდა.

ველომარათონში 50-მდე ველომრბოლელმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ამ მარათონში მონაწილეობას ღებულობდა ფოთელი ველომრბოლელი გიგა ქვანია, რომელმაც ტოლი არ დაუდვა მოწინააღმდეგეთ და გახდა მარათონის გამარჯვებული. მას გადაეცა ფულადი ჯილდო 1000 ლარი, აგრეთვე 500 ლარიანი ვაუჩერი ასის ანკ-მა გადასცა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს გიგა ქვანიას მიღწეულ წარმატებას.

## სამოყვარულო ფეხბურთი



მიმდინარე წლის 30 ივნისს მარტვილში გაიმართება რეგიონალური პირველობის I ტურის კალენდარული მატჩი სამოყვარულო ფეხბურთში, სადაც მარტვილის ,,დიდი ჭყონი'' უმასპინძლებს ფოთის ,,ჭაბონამა''-ს. დასაწყისი 17 საათზე. წარმატებები ფოთელ ფეხბურთელებს.


## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*




მეუღლე ციცინო ჯაბელია; შვილები: დათო, ქრისტინე, საბა ნანობაშვილები; და ჟანა; რძალი თამუნა თავართქლაძე; შვილიშვილები თორნიკე და ნიკა, სიდედრი რაისა გორდულავა; სიმამრი კაკო ჯაბელია, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბი ვლადიმერის ძე ნანობაშვილი.**

პანაშვიდი 27,28,29 ივლისს.

დაკრძალვა 30 ივლისს, 15სღ-ზე კუნძულის უბნის სასაფლაოზე,გამოსვენება ფოთი, ნიკოლაძის სანაპირო 41


**განცხადება:**

***ქირავდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი. მის:იერუსალიმის №4***

***ტელ: 551 499 555***


## სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება

## ირინა პლოტნიკოვა-ჯოჯუას ხსოვნას



არავინ ელოდა ამ ულამაზესი და სიცოცხლით სავსე ქალბატონის ირინა კონსტანტინეს ასული პლოტნიკოვა-ჯოჯუას გარდაცვალებას. 67 წლისა აღესრულა, თუმცა, დრო, გინდ საუკუნეც წამივით გარბის წუთისოფელში.

დამთავრდა ცხოვრების გზა, გზა, რომელიც უკავშირდებოდა ფოთსა და ფოთელებს. ფოთში დაიბადა 1952 წლის 18 ივლისს და 2019 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა. იყო მხიარული ბავშვობა, სტუდენტობა, ათეული წლები იმსახურა ნავსადგურში ცნობილი პიროვნების პორტის უფროსის გიორგი ვატაევის პირად მდივნად. აქ შეხვდა ცხოვრების მეგზურს, ვიქტორ ჯოჯუას-ნავსადგურის ელექტრო სამსახურის ცნობილ სპეციალისტს. იყო ბედნიერი წლები ქალიშვილის-ანჟელიკას მოვლინება, ახალ სიცოცხლესთან შეხვედრის სიხარული. მართლაც, დიდებული დრო იყო, ეროვნულობის მიუხედავად ფოთში დაბადებულებს და აღზრდილებს ქალაქის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა აერთიანებდათ. შერეული ქორწინებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ისინი კარგად ფლობდნენ ქართულ ენას და შვილებსაც ასწავლიდნენ, ისე რომ ეროვნებას არავინ დაგისახელებდა, უბრალოდ იტყოდნენ - მე ფოთელი ვარ.

მერე ცხოვრებამ დაკარგა ძველებური ურთიერთობები, მარტოობა დაეუფლა ადამიანებს, ქალბატონმა ირინამ მეუღლის დაკარგვით დიდი ტკივილი განიცადა, წავიდა კარგი ფოთელი, მეუღლე მამა, გვერდში მდგომი კაცი. შვილი ანჟელიკა ჯოჯუა-გუზოვა ამჟამად ოდესაში ცხოვრობს მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად და მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში, მისთვის მოულოდნელი იყო სრულიად ჯანსაღი დედის გარდაცვალება. ის იყო მისი მეგობარი, ნუგეშისმცემელი, და იმედი. ანჟელიკა ამბობს, რომ დედის საფლავს არასოდეს მიატოვებს და პირველივე შესაძლებლობისთანავე ფოთში გადმოვა საცხოვრებლად.

ისე მოხდა, რომ ბევრმა ვერც გაიგო ირინას გარდაცვალება. მხოლოდ მეზობლებმა და ახლობლებმა გააცილეს უკანასკნელ გზაზე. ანჟელიკა ჯოჯუა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არის აღვსილი საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის, ფოთში ცნობილი პიროვნების - ბატონ პაატა გეგენავასადმი, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ქალბატონი ირინას მოულოდნელი გარდაცვალება, იპოვნა პოლონეთის რესპუბლიკაში მივლინებით მყოფი ანჟელიკა და დაეხმარა მას დედის დასაფლავებაში საგვარეულო სასაფლაოზე.

ადამინები უკვდავნი არავართ, ამიტომ არ მივატოვოთ ერთმანეთი. ვინ იცის ვის კართან დაიჩოქებს გაჭირვების აქლემი, სიკვდილი არავის არაფერს ეკითხება. იმედად ღვთიური გზა დაგვრჩენია.

ღმერთს ებარებოდეს ქალბატონი ირინას დიდებული სული.

**გაზეთის ამ ნომრის სპონსორია სს ჰიდრომანქანათმშენებელი ქარხნის გენერალური დირექტორი გიზო ხარჩილავა, დიდი მადლობა მას!**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში" E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა